საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

14 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტკომების მდივნები პარტიის რაიკომების უფლებებით, მინისტრები და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, მთელი რიგი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების, კულტურის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა წლის პირველი ნახევრის შედეგები, 1984 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულების ღონისძიებანი და ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შემუშავების საქმეში ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ი. ვაშაკიძე, გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ზ. ლოლიჯანაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ქ. ს. მამედოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. უნგიაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ა. ოდიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 'მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. მ. 'დათიაშვილი, აჟალის ვ. ი. ლენინის სახელობის მინის ქარხნის გამმართველთა ბრიგადირი გ. ე. ალექსანდროვი, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. იმედაძე, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ნ. გ. ვაშაძე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი [illegible], რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" პარტკომის მდივანი ი. შ. მამაჯარიანი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ო. შ. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. პ. პ. ჩხეიძე.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ს. მ. სულეიმანოვი გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორად დამტკიცებულია ამხ. თ. მ. ჯაფარლი. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 135 (7696)

15 ივლისი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ანტიოლიმპიური ოლიმპიადა

მოახლოვდა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშები და მთელი ძალით ამუშავდა რეიგანის ადმინისტრაციის პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა სამართლიანი და დასაბუთებული პროტესტი არც მორალური, მით უმეტეს, არც სპორტული თვალსაზრისით არ დააზარალებს ოლიმპიადას.

ამერიკელ ექსპერტთა მტკიცებით, „საბჭოთა მძლეოსნების შედეგები ბოლო ორ სეზონში უმნიშვნელოა და მათი არყოფნა არსებით გავლენას ვერ მოახდენს ოლიმპიადაზე". სამწუხაროდ, ამ ექსპერტებს არ სურთ დაინახონ, რომ წლევანდელი მძლეოსნური სეზონის წარმატებებს მსოფლიოში, ჯერჯერობით საბჭოთა სპორტსმენების შედეგები განსაზღვრავს.

ამ წარმატებებს, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაუყარა ჰოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ, რომელმაც ივნისში ჯერ ბრატისლავაში 585 სმ აჩვენა, შემდეგ კი პარიზში თავისივე მსოფლიო რეკორდს კიდევ 3 სანტიმეტრი დაუმატა (588 სმ).

მერე დაიწყო სარეკორდო სტარტების მთელი სერია კიევის სტადიონზე. მარინა პონომარიოვამ 400 მ თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა (53,58 წამი), ოლგა ბონდარევამ — 10000-მეტრიან დისტანციაზე (31.13,78), ტამარა ბიკოვამ — სიმაღლეზე ხტომაში (205 სმ).

როგორც ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე" აღნიშნავს, მსოფლიო რეკორდების შტურმს უნდა ველოდეთ არა ლოს-ანჯელესში, არამედ ციურიხის ტრადიციულ მძლეოსნურ ტურნირში, რომელიც ჩატარდება ოლიმპიადის შემდეგ, დაახლოებით 22-25 აგვისტოს და, რომელშიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნები.

დასავლეთის ქვეყნების პროპაგანდისტულ კამპანიაში, რომელიც უმთავრესად ვაშინგტონიდან მიღებული მითითებებით საზრდოობს, ბატონობს აზრი, თითქოს საბჭოთა კავშირი სამაგიეროს უხდის შეერთებულ შტატებს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისთვის. მაგრამ ეს ბრალდება თავისთავად წინასწარ შემუშავებული და შორს გამიზნული პროპაგანდისტული აქტია, რომელიც მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად მიჩქმალოს რეიგანის ადმინისტრაციის დანაშაული, მისი ანტიოლიმპიური პოლიტიკის შედეგები. თამაშები ლოს-ანჯელესში ჯერ არ დაწყებულა, ოლიმპიური ქარტიის ყველა საკვანძო პუნქტი კი უკვე დაირღვა. ამას თვალნათლივ ხედავს მთელი მსოფლიო, ოფიციალური ვაშინგტონის გარდა.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან მსგავსი დისკრიმინაციული პოლიტიკა? ამ საკითხზე დღეს თავს იმტვრევენ სპორტის სპეციალისტები მთელ მსოფლიოში.

ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის (ტულ) გენერალური მდივნის ოსი შემანის აზრით, არსებობს ორი გამოსავალი: საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, თუკი მას მართლაც სურს იხსნას ოლიმპიური მოძრაობა, თამაშების ჩატარება უნდა ანდოს იმ ქალაქებს, რომლებიც ოლიმპიური ქარტიის ყველა პუნქტის დაცვას და შესრულებას იკისრებენ; მეორე, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა უფრო ქმედითი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კანდიდატთა შერჩევაში.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა მეტ ინიციატივას მოითხოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან. მით უფრო, რომ ბოლო პერიოდის ოლიმპიურ თამაშებს, მოსკოვის ოლიმპიადის გარდა, ახლდა ტრაგიკული ექსცესები, საპროტესტო გამოსვლები, შეიარაღებული ინციდენტები. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეს ყოველივე დიდად როდი აშფოთებდა.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გახსნას წინ უსწრებდა მძიმე პოლიტიკური ტერორი, რომელმაც საბოლოო ანგარიშით 260 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს ოლიმპიადა დაგვამახსოვრდა ტომი სმითისა და ჯონ კარლოსის „შავი სალუტებითაც". მერე იყო მიუნჰენის ოლიმპიადის „სისხლიანი დღეები", მონრეალის თამაშები 26 აფრიკული ქვეყნის ბოიკოტით. მაგრამ „ჩიკაგო ტრიბიუნის" სპორტული მიმომხილველის აზრით „ოლიმპიურ მოძრაობას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტმა, რომლის თაოსანი და სულისჩამდგმელი ჯიმი კარტერი იყო". ინგლისელი მძლეოსნის სებასტიან კოეს განცხადებით „ამერიკელებმა თვითონვე დათესეს და გაალვივეს უსიამოვნება, ახლა კი ნაყოფს იმკიან. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ჩამოსვლა შოვინისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლოს-ანჯელესში მართლაც გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა".

ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რა ხიფათი შეიძლება ელოდეს სპორტსმენს ლოს-ანჯელესში. ამ მიზნით ჟურნალისტმა დაიქირავა ყოფილი სამხედრო მოსამსახურე და მზვერავი ჯონ მილერი და მასთან ერთად შემოიარა ოლიმპიური ობიექტები. მილერის აზრით, ლოს-ანჯელესში ძალზე ადვილია ნებისმიერი ტერორისტული აქციის მოწყობა. ოლიმპიური სოფლის დაცვა და ეფექტური კონტროლი წარმოუდგენელია, იმდენად ბევრია მის გარშემო მიწისქვეშა გასასვლელი და დახურული დერეფანი. ფაქტიურად შეუძლებელი იქნება უსაფრთხოების დაცვა და კონტროლი ოლიმპიურ ობიექტებზეც.

მაგრამ ეს ამბავი სრულიადაც არ აწუხებს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც უფრო მეტად გახსნისა და დახურვის ცერემონიალის ბილეთების განაწილებითაა დაკავებული. სხვათა შორის, ესეც სიმპტომატური ფაქტია და კარგად გამოხატავს ამერიკელთა დამოკიდებულებას ოლიმპიადისადმი. თამაშების გახსნასა და დახურვაზე მოხვედრა ათჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სპორტულ შეჯიბრებებზე დასწრება. არადა, ოლიმპიური თამაშები, პირველ ყოვლისა, სპორტული შეჯიბრებაა და უკვე მერე — სადღესასწაულო სანახაობა.

სვანეთი სპორტსმენთა მხარეა

სვანეთში უფროს თაობას დღესაც კარგად ახსოვს სილიბისტრო ნავერიანი — ცნობილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, მესტიის აღმასკომის პირველი თავმჯდომარე. თვითონაც კარგი მოთხილამურე, მთამსვლელი და ტურისტი, იგი დაუღალავად ზრუნავდა ამ რაიონში სპორტის დანერგვა-განვითარებისთვის. მოგვიანებით სვანეთს დაუბრუნდა ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მურზაყან ჯაფარიძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა მესტიის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. მალე ადგილობრივთა შორის გამოჩნდნენ საუკეთესო მთამსვლელები — გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, ჰიჰიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი, მაქსიმე გვარლიანი. ერთმანეთს ცვლიდა ურთულესი ასვლები და ტრავერსები. მამაცმა ალპინისტებმა დაიპყრეს კავკასიონი, დალაშქრეს პამირის, ტიან-შანის მთები, მრავალი სასახელო გამარჯვება ჩაწერეს ქართული ალპინიზმის მატიანეში.

40-50-იან წლებში სვანეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი სათხილამურო სპორტმა. ამ საქმეში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის სპორტკომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელს სოფრომ გიგანს. სარბიელზე გამოვიდნენ ნიჭიერი სამთომოთხილამურენი ანზორ დადვანი, გივი ჯაფარიძე, გივი მარგიანი, მრბოლელები ამირან ჯაფარიძე და ვარდენ დადვანი, მათ მოჰყვნენ ქალებიც — ლიანა ჯაფარიძე და ნადია მუშკუდიანი. მათგან უმრავლესობამ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, რესპუბლიკის ნაკრების წევრი გახდა.

მესტიის რაიონში ქართული ჭიდაობითაც დაინტერესდნენ. მერე კი ფეხი მოიკიდა ჭიდაობის ახალმა სახეობამ — ძიუდომ. ახალგაზრდა სვან ძიუდოისტებთან გულმოდგინე მეცადინეობა დაიწყო სპორტის საუკეთესო სპეციალისტმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა გაიოზ ჩართოლანმა (მესტიის სპორტკომიტეტის ახლანდელი თავმჯდომარე). სწორედ მისი და მწვრთნელ რობინზონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გაიზარდნენ მესტიის ტატამზე სსრ კავშირის ჩემპიონი რამაზ მარგველანი, ძმები ლერი და გურამ ნაკანები — პირველი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და ტოკიოს მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორი (ტურნირის ყველაზე აგრესიული მოჭიდავე), მეორე კი — ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორი და ლისაბონის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული.

დიდი ხანი არ არის, რაც სვანეთის ახალგაზრდობა კრივით დაინტერესდა. მესტიაში აღზრდილი ეროსი მარგიანი დღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონია იუნიორებს შორის, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. გვყავს კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მოკრივე. მათთან ნაყოფიერად მუშაობს მოსკოვიდან ამ რამდენიმე წლის წინათ გადმოსული სპეციალისტი ალიოშა ჯაფარიძე.

(დასასრული მე-2 გვ.).

ინფორმაცია

ახალი მსოფლიო რეკორდი

ინგლისის დედაქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში დონეცკელმა ჰოკით მხტომელმა **სერგეი ბუბკამ** 2 სმ-ით გააუმჯობესა ერთი თვის წინ მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 590 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა წარსულთან

ქართული სპორტის წარსული მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ძველისძველი ინსტიტუტის კეთილისმყოფელ გავლენასთან, რომელსაც რესპუბლიკის ჩემპიონატი ჰქვია. არც ისე დიდი ხნის წინათ ამ რანგის ტურნირებში მონაწილეობა ყველა სპორტსმენისთვის პატივად და ღირსებად ითვლებოდა. რესპუბლიკურ ჩემპიონატებში გამოსვლას არ თაკილობდნენ სახელმოხვეჭილი ჩემპიონები და რეკორდსმენები, მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ აღიარებული და დაფასებული სპორტსმენები. მაშინ საქართველოს პირველობა ნებისმიერ სახეობაში სავსებით სამართლიანად ითვლებოდა სპორტის ჭეშმარიტ ზეიმად, რომელშიც ფართო აუდიტორიას თავისებურ ანგარიშს აბარებდნენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა თბილისელი ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი. ერთი წლის შემდეგ მან რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა.

რესპუბლიკურ ჩემპიონატებში ინტერესითა და ხალისით მონაწილეობდა მეორე ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანიც. თავისი ყველაზე დიდი ტრიუმფის შემდეგ (ტოკიო, 1964 წელი) იგი სამჯერ იყო (1965, 1966, 1971 წწ.) საქართველოს ჩემპიონი.

შოთა ჩოჩიშვილი, რომელმაც საბჭოთა ძიუდოისტებს შორის პირველმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი (მიუნხენი, 1972 წელი) 1975 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში.

მაგალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლება.

იმას ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენები მონატრებული იყვნენ ბრძოლას, ტაშს ან მრავალრიცხოვან აუდიტორიას, მაგრამ რესპუბლიკურ ჩემპიონატებში მაინც ხალისით გამოდიოდნენ, რადგან კარგად იცოდნენ ნამდვილი გულშემატკივრობის ფასი, შეგნებული ჰქონდათ ამ ტურნირების მნიშვნელობა და ერთგვარად ვალს იხდიდნენ მადლიერი ქომაგების წინაშე.

რესპუბლიკის ჩემპიონატებში მონაწილეობა დიდი სპორტსმენისთვის არ უნდა იყოს სათაკილო საქმე, თუ ის მართლაც დიდი სპორტსმენია და თავისი საქმე უყვარს. მეტიც, საქართველოს ჩემპიონატების შედეგებზე დაკვირვებამ ერთ საინტერესო კანონზომიერებამდე მიგვიყვანა: ყველამ, ვისაც სურს ჭეშმარიტი სპორტსმენი გახდეს, ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა გაიაროს გზა მარტივიდან რთულისკენ. იგი ჯერ შინ, თავისი მაყურებლის თვალწინ უნდა ჩამოყალიბდეს მებრძოლად და ოსტატად, მოქალაქედ და პატრიოტად, უფრო მაღალ მატერიებზე კი მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს. ასე იქცეოდნენ წინათ და ალბათ ამიტომაც იყო ყოველი რესპუბლიკური ჩემპიონატი თავისი საზეიმო გახსნითა და დახურვით სპორტის ჭეშმარიტი დღესასწაული.

შეხვედრა წარსულთან მუდამ სასიამოვნოა. ქართული სპორტის ისტორია არ დაწერილა მყუდრო და აკადემიურ კაბინეტებში. ამ ისტორიას ქმნიდა ხალხი, სპორტის უანგარო ჭირისუფალთა დიდი ენთუზიაზმი. ამიტომ არის, რომ ჩვენი სპორტის წარსული ჩვენივე კულტურული ცხოვრების ნაწილად მიგვაჩნია. ისტორიის შემქმნელთა გახსენება, კეთილი სიტყვით მოგონება ყოველი ჩვენგანის წმინდა და ეროვნული ვალია.

„ლელოს" რედაქციამ ხელი მოჰკიდა ერთ რთულ საქმეს, რომლის დაძლევა მხოლოდ კოლექტიური გარჯით, ფედერაციების მონდომებით, საზოგადოებრიობის აქტიური და ქმედითი დახმარებით შეიძლება.

როგორც ცნობილია, პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი ჯერ კიდევ 1927 წელს ჩაატარეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული აღვადგინოთ საქართველოს ჩემპიონთა ვინაობა და სადაურობა სპორტის სხვა სახეობებშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული სპორტის, უფრო ზუსტად, რესპუბლიკის ჩემპიონთა „რუკაზე" ბევრი თეთრი ლაქაა, რომლებიც შევსებას მოითხოვს.

შეცდომებისაგან დაზღვეული, ცხადია, არ ვიქნებით. რისკი დიდია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩიტი ბდღვნად ღირს და ჩვენც ეს გვამშვიდებს. ერთი კია, როგორც უნდა იყოს მონდომებული რედაქცია, იმ დიდ საქმეს მარტო თავისი ძალებით თავს ვერ დაადგამს.

ძვირფასო ვეტერანებო, სპორტის ენთუზიასტებო, მწვრთნელებო, მსაჯებო... მოგმართავთ თხოვნით, ვისაც როგორ შეგიძლიათ, მხარი დაგვიჭირეთ! ჩვენთვის ძვირფასია და გამოსადეგი ყოველგვარი ცნობა, დოკუმენტი, სიგელი, დიპლომი, გაზეთის ამონაჭერი ან თუნდაც ფოტოსურათი. ჩვენი პირველი პუბლიკაციის შემდეგ დარწმუნდებით, ჯერ კიდევ რამდენი რამ არის გასარკვევი, დასადგენი, დასაზუსტებელი (თარიღი, გვარი, სახელი, ქალაქი, სპორტსაზოგადოება და ა. შ.). როცა რუკაზე ყველა თეთრი ლაქა შეივსება, სპორტის მოყვარულები ძვირფას საჩუქარს მიიღებენ — რესპუბლიკის ჩემპიონთა სრულ ნუსხას სპორტის სახეობათა მიხედვით. დაგვერწმუნეთ, ეს არ იქნება პატარა საქმე.

ეს საქმე მართლაც ვერ ითმენს დახანებას

რესპუბლიკის ჩემპიონები

კლასიკური ჭიდაობა

უმსუბუქესი წონა. 1927 წ. ლეონიდ ძეკონსკი, 1928 წ. თარხანოვი, 1934 წ. დავიდოვი, 1936 წ. ნიკოლოზ მარტიროზოვი, 1937-1938 წ.წ. გიორგი ვარძელაშვილი, 1940 წ. შალვა ნოზაძე („სპარტაკი"), 1947-1953, 1955 წ.წ. ვალერიან ვეშაგური („დინამო), 1956 წ. იური ძებისაშვილი („პიშჩევიკი"), 1957-1958 წწ. ვილენ კაზაროვი („სპარტაკი", ყველა — თბილისი), 1959 წ. ზაურ მეყრილაძე (ქუთაისი), 1960 წ. ვილენ კაზაროვი, 1961 წ. არჩილ ხარაბაძე, 1962 წ. ჯუმბერ ძნელაძე (ორივე — „ბურევესტნიკი"), 1963 წ. არჩილ ხარაბაძე, 1964 წ. ზურაბ მირიანაშვილი, 1967 წ. ზ. მირზოიანი („დინამო", ყველა —თბილისი), 1969 წ. — ამ წონაში პირველობა არ გათამაშებულა.

მჩატე. 1927-1928 წწ. ერვანდ ოგანეზოვი (თბილისი), 1934 წ. მიხეილ თიკანაძე, 1936 წ. ლეონიდ ძეკონსკი (ორივე — თბილისი), 1937-1938 წწ. ანდრო ჰელიძე, 1939 წ. ილია ბობოხიძე (ორივე — „დინამო", ქუთაისი), 1940 წ. შალვა ნოზაძე („სპარტაკი, თბილისი), 1942 წ. აკაკი მიმინოშვილი („დინამო", ბათუმი), 1944 წ. გიორგი ვარძელაშვილი (ასკ), 1945-1948 წწ. ლეონიდ ძეკონსკი, 1949 წ. შალვა ნოზაძე (ყველა — თბილისი), 1950 წ. ალექსანდრე მაისურაძე („დინამო" ონი), 1951 წ. ვარლამ გიგიაძე („ისკრა", ქუთაისი), 1952 წ. გოდერძი ჩიტიაშვილი, 1953 წ. ელგუჯა თვალჭრელიძე („ლოკომოტივი"), 1954-1956 წწ. გოდერძი ჩიტიაშვილი („ნაუკა", ყველა —თბილისი), 1957 წ. ჰენრიხ მნაცაკანიანი („სპარტაკი", ქუთაისი), 1959 წ. ზაურ უგრეხელიძე („ბურევესტნიკი"), 1960 წ. ირაკლი ვალიშვილი („სპარტაკი"), 1961 წ. ზაურ უგრეხელიძე, 1962 წ. ავთანდილ როსტიაშვილი („კოლმეურნე"), 1964, 1967 წწ., გიორგი ჰეიშვილი („სპარტაკი", ქუთაისი), 1969 წ. გივი გუდაძე („დინამო", ქუთაისი).

ქვემსუბუქი. 1934 წ. სერგეი მუშეღიანი („დინამო"), 1936 წ. კალე შეყრილაძე, 1937-1938 წწ. ლეონიდ ძეკონსკი (ორივე — „ნაუკა", თბილისი), 1940 წ. ილია ბობოხიძე („დინამო", ქუთაისი), 1942, 1944 წწ., ვლადიმერ მღებრიშვილი („სპარტაკი, თბილისი), 1945-1946 წწ. ილია ბობოხიძე, 1947 წ. შ. ბატეიშვილი, 1948 წ. ილია ბობოხიძე, 1949 წ. ზურაბ დენთოშვილი (თბილისი), 1950-1951 წწ. გოდერძი ჩიტიაშვილი, 1952 წ. რომან ძნელაძე („დინამო"), 1953 წ. გოდერძი ჩიტიაშვილი, 1954 წ. რომან ძნელაძე, 1955 წ. დავით გვანცელაძე („ნაუკა"), 1956 წ. მერაბ ღუდუშაური („ნაუკა", თბილისი), 1957 წ. აკაკი ჩიხლაძე („სპარტაკი", ქუთაისი), 1959 წ. შოთა სეფაშვილი, 1961 წ. ზურაბ მანჯგალაძე (ორივე —„დინამო", თბილისი), 1962 წ. რომან რურუა („კოლმეურნე", თბილისი), 1964 წ. ომარ ეგაძე, 1967 წ. ოთარ ტატიშვილი, 1969 წ. ნიკოლოზ სალნიკოვი (ყველა — „განთიადი", თბილისი).

მსუბუქი. 1927-1928 წწ. ნერსეს აკოფოვი (თბილისი), 1934 წ. ლევ კაპიტანოვი („დინამო"), 1935 წ. კალე შეყრილაძე („ნაუკა"), 1936 წ. ნერსეს აკოფოვი, 1937-1938 წწ. შოთა შანიძე („დინამო", ბათუმი), 1939 წ. კალე შეყრილაძე, 1940 წ. ნიკოლოზ ბურზაქოვი („დინამო", თბილისი), 1942 წ. არტუშ ნაზარიანი (ასკ, თბილისი), 1943 წ. კალე შეყრილაძე, 1944-1949 წწ. ვასილ ილურიძე („ბოლშევიკი", თბილისი), 1950 წ. ივანე ფირცხელაიშვილი („დინამო", თბილისი), 1951 წ. ვასილ ილურიძე, 1952 წ. ივანე ფირცხელაიშვილი, 1953 წ. თენგიზ კიკნაძე, 1955 წ. ავთანდილ ქორიძე („ნაუკა"), 1956 წ. რომან ძნელაძე (ყველა — თბილისი), 1957 წ. მურთაზ ასათიანი („ნაუკა", ქუთაისი), 1959 წ. ამირან მახარაძე („კოლმეურნე", ბათუმი), 1960 წ. გიორგი მინასიანი („სპარტაკი", თბილისი), 1961 წ. ეფრემ აჯიაშვილი, 1962 წ. სოსლან ბეთიზოვი (ორივე —„განთიადი", თბილისი), 1964 წ. გიორგი მინასიანი, 1967 წ. ბაქსან ლეკვეიშვილი („დინამო", ქუთაისი), 1969 წ. ჯემალ რობაქიძე („ბურევესტნიკი", თბილისი).

პირველი ქვესაშუალო. 1969 წ. ბაქსან ლეკვეიშვილი.

მეორე ქვესაშუალო. 1934-1939 წწ. ვახტანგ კუხიანიძე („დინამო"), 1940 წ. ა. ბეკმანი, 1942 წ. დავით ციმაკურიძე, 1943-1947 წწ. ვახტანგ კუხიანიძე, 1948 წ. ედუარდ სიმონიანი (ასკ), 1949 წ. ესტატე ქართუსაშვილი („დინამო"), 1950 წ. ვასილ ილურიძე („ისკრა"), 1951 წ. გივი ჯულუხიძე (ასკ), 1952 წ. ვლადიმერ მაისურაძე („დინამო"), 1953-1956 წწ. გივი ჯულუხიძე, 1957 წ. ჯემალ შენგელია (ორივე — „შრომითი რეზერვები"), 1959 წ. ილია ტულუში („სპარტაკი"), 1960 წ. რობერტ ტუხულოვი („ლოკომოტივი"), 1961 წ. გიორგი კვაჰაძე, 1964 წ. ვლადიმერ ხანდოლიშვილი (ორივე — „განთიადი"), 1967 წ. იური ბურდილაძე („დინამო"), 1968 წ. ემზარ მორგოშია („დინამო"), 1969 წ. თამაზ ფილიშვილი („ბურევესტნიკი", ყველა — თბილისი).

პირველი საშუალო. 1969 წ. ვლადიმერ ხანდოლიშვილი („განთიადი", თბილისი).

მეორე საშუალო. 1927 წ. ქემბროვსკი, 1928 წ. გიორგი პილნოვი (ორივე — თბილისი), 1934-1938 წწ. პეტრე დენისოვი, 1940 წ. ირაკლი ყიფიანი (ორივე — „დინამო"), 1942 წ. კირაკოსიანი, 1944-1945 წწ. ივანე ალიხანოვი („ბოლშევიკი"), 1946 წ. კალე შეყრილაძე („ნაუკა"), 1947-1948 წწ. გიორგი როსტიაშვილი („დინამო"), 1949 წ. გივი კარტოზია („ბოლშევიკი"), 1950 წ. ვაჟა ვაჰარაძე, 1951 წ. გურამ მესხი, 1952 წ. გივი კარტოზია, 1953 წ. ვლადიმერ მაისურაძე („ისკრა"), 1955 წ. ავთანდილ სიხარულიძე („შრომითი რეზერვები"), 1956 წ. ლევან შენგელია („დინამო", ყველა — თბილისი), 1957 წ. შალვა ზონენიშვილი („სპარტაკი", ქუთაისი), 1959 წ. ნუკრი ერემეიშვილი („სპარტაკი", თბილისი), 1960 წ. ფარვიზ გველესიანი („განთიადი"), 1961 წ. კონსტანტინე ლულუნიშვილი („ბურევესტნიკი"), 1962 წ. როლანდ ლეკვეიშვილი („დინამო", ქუთაისი), 1963-1965 წწ. ომარ ბლიაძე, („ბურევესტნიკი"), 1967 წ. გივი ბაზაშვილი („კოლმეურნე", თბილისი), 1969 წ. თამაზ რეხვიაშვილი („სპარტაკი" თბილისი).

ქვემძიმე. 1927 წ. პეტრე დენისოვი („დინამო"), 1928 წ. ონიკ შაჰნაზაროვი, 1934 წ. შალვა ჩიხლაძე („დინამო"), 1935 წ. ზურაბ ზვიადაძე, 1936-1938 წწ. შალვა ჩიხლაძე, 1940 წ. ზურაბ ზვიადაძე (ასკ), 1942 წ. ვალარშაკ მაჩკალიანი („დინამო"), 1944-1950 წწ. დავით ციმაკურიძე, 1951 წ. გივი კარტოზია, 1953 წ. ავთანდილ სიხარულიძე („დინამო"), 1955 წ. თ. საქუაშვილი, 1956 წ. როსტომ აბაშიძე („ბურევესტნიკი", ყველა — თბილისი), 1957 წ. გიორგი სინაურიძე („ბურევესტნიკი", ქუთაისი), 1961 წ. ნოდარ ძიმისტარიშვილი („კოლმეურნე", ბათუმი), 1962 წ. ენრი კოპლატაძე, 1964 წ. მურმან ჩიბურდანიძე („ბურევესტნიკი"), 1967 წ. ჯემალ ნოზაძე („სპარტაკი"), 1969 წ. თეიმურაზ ქურციკიძე („დინამო", ყველა — თბილისი).

მძიმე. 1927-1928 წწ. დავით ჰიჰინაძე („ლოკომოტივი", თბილისი), 1934-1935 წწ. კონსტანტინე ჯავახიშვილი („დინამო"), 1936 წ. კილასონია, 1937-1938, 1940 წწ. ვალარშაკ მაჩკალიანი, 1942 წ. არსენ მეკოკიშვილი, 1945 წ. კონსტანტინე ჯავახიშვილი. 1946-1951 წწ. ვალარშაკ მაჩკალიანი (ყველა — „დინამო" თბილისი), 1952 წ. შალვა მდინარაძე („ბოლშევიკი"), 1953 წ. თ. საქუაშვილი, 1955-1956 წ. ოთარ კანდელაკი (ორივე — „დინამო", თბილისი), 1957 წ. ვახტანგ ლაფაური (ასკ), 1959 წ. როსტომ აბაშიძე, 1960 წ. ანზორ ხაბეიშვილი (ორივე —„ბურევესტნიკი"), 1961 წ. შალვა ზონენიშვილი („სპარტაკი", ქუთაისი), 1962 წ. თეიმურაზ ხითარიშვილი, („ბურევესტნიკი", ქუთაისი), 1964 წ. ანზორ ხაბეიშვილი, 1967 წ. თეიმურაზ ხითარიშვილი, 1969 წ. იური სიორიძე („კოლმეურნე").

როგორც ხედავთ, დასაზუსტებელი ამ სიაში ბევრი რამ არის. ჩვენ შეგნებულად არ ვბეჭდავთ ჩემპიონთა გვარებს 1970 წლიდან, ვინაიდან მათი მიკვლევა არც ისე ძნელია. მათ, ვინც მოისურვებს დაგვეხმაროს, შევახსენებთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, პირველ რიგში, თარიღი, სპორტსმენის გვარი, სრული სახელი, ქალაქი და სპორტსაზოგადოება, რომლის ღირსებასაც იგი იცავდა. კარგი იქნება, თუ ამ ცნობებთან ერთად გამოგვიგზავნით დიპლომის (სიგელის) ასლს ან გაზეთის ამონაჭერს.

ველით თქვენს პასუხს.

სტუდენტთა სპორტული კლუბების საკავშირო თამაშები

„ოქროს" ხუთეული

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გრძელდება სტუდენტთა სპორტკლუბების საკავშირო თამაშების პროგრამაში შემავალ მოფარიკავეთა ასპარეზობა, რომელშიც ბევრი პერსპექტიული დაშნით მოფარიკავე მონაწილეობს. მათ შორის ყველაზე ტიტულოვანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გიორგი ჯილაური გახლავთ. გიორგიმ ჯერ კიდევ იუნიორთა შორის მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, წლინახევრის წინ კი მოზრდილთა შორის საკავშირო თასის გათამაშების ფინალშიც მოხვდა.

გიორგი ჯილაურმა და მისმა სეხნიებმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა სავიცკიმ და კოკოჩაშვილმა, მათთან ერთად მომავალმა მწვრთნელებმა ილიკო ქიზიყურაშვილმა და ვაჟა პარხომენკომ წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა. პირველ საფეხურზე მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ჯემალ გამიაშვილმა განიცადა დასანანი მარცხი.

მეორე საფეხურის შემდეგ მაყურებელთა რიგებში კიდევ ორმა ჩვენმა სპორტსმენმა, სავიცკიმ და პარხომენკომ გადაინაცვლეს. ბრძოლა უფრო გამწვავდა. საქმე ისაა, რომ მესამე საფეხურზე წარმატების შემთხვევაში სპორტსმენი ნახევარფინალში, ე. ი. 16 საუკეთესოს შორის ხვდებოდა და შემდგომ შეხვედრებში მოპოვებული შედეგების მიუხედავად, გუნდს ჩასათვლელ ქულებს აძლევდა. ჯილაური იოლად გაუმკლავდა მეტოქეებს. ჯერ ბელორუსელი მოფარიკავე ანატოლი ნოვიკოვი დაამარცხა (5:2), შემდეგ კი ლენინგრადელ არამის კუტუზოვს სძლია (5:3) და სხვა სამი შეხვედრაც მოიგო. ახლოს იყო მიზანთან კოკოჩაშვილიც. პირველი მარცხის შემდეგ მან ზედიზედ ორ მეტოქეს ყაზახეთის წარმომადგენელ იგორ როგოზოვს (5:2) და უკრაინელ ვლადიმერ სოკოლოვს (5:4) დააყრევინა ფარ-ხმალი. მართალია, შემდეგ ბრძოლებში დამარცხდა, მაგრამ იგი ნახევარფინალში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებდა. მის ქვეჯგუფში სამ სპორტსმენს ქულების თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ. ყველაფერი ჩხვლეტების შეფარდებამ გადაწყვიტა და კოკოჩაშვილი ნახევარფინალში ველარ მოხვდა.

ილიკო ქიზიყურაშვილს ბრძოლა არ გამოუვიდა, ზედიზედ რამდენიმე მარცხი იწვნია და ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა.

როდესაც ჯილაურმა ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში ბელორუს მოფარიკავეს ვადიმ ვასილიევს სძლია (10:8), გულშემატკივრებმა იგი უკვე ფინალში გასულად ჩათვალეს, მაგრამ გიორგის მომდევნო მეტოქე, ყირგიზი დიმიტრი გალიმოვი „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა. ფრეს (8:8) შემდეგ ჩვენი სპორტსმენი კიდევ ერთხელ დაწინაურდა, მაგრამ გალიმოვს შეუპოვრობასთან ერთად დიდი ნებისყოფაც აღმოაჩნდა: მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი უკანასკნელი ჩხვლეტით ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. უნდა ითქვას, რომ ჯილაურის დამარცხებას ჩვენი მწვრთნელები მაინცდამაინც არ აუღელვებია. ბოლო შეხვედრას მაინც მოიგებსო, — ასე სჯეროდათ და მართლაც, ჩვენი გუნდის ლიდერმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა იგორ როგოზოვს (ყაზახეთი). შეხვედრის დამთავრებამდე 28 წამი იყო დარჩენილი, გიორგი ბრძოლას 8:2 იგებდა, მაგრამ მოულოდნელად როგოზოვი თავგანწირულად ეკვეთა მეტოქეს და ანგარიში 8:6 გახდა. ჯილაურმა „კარდინალურ ღონისძიებას" მიმართა — მეტოქეს ორი ჩხვლეტა მიაყენა (10:6) და ფინალში გავიდა.

გიორგი ჩოჩიშვილი,

ელვა-ინფორმაცია

გუშინ, რაპირისტ ქალთა გუნდური პირველობის ფინალში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ელისო მარსაგიშვილმა, ქეთევან ერემაშვილმა, მანანა დარახველიძემ, ვენერა მამუკაშვილმა და ლეილა ხერაძემ დაამარცხეს რსფსრ-ის ნაკრები და ოქროს მედლები მოიპოვეს.

დაშნით მოფარიკავეთა შორის გიორგი ჯილაურმა საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

სვანეთი სპორტსმენთა მხარეა

დასასრული

მაგრამ ეს მაინც არ გვაკმაყოფილებს. სვანეთში ფართოდ უნდა გავრცელდეს ისეთი სახეობებიც, როგორიცაა მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი... ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, ჩვენს გოგო-ბიჭებს ძალიან უყვართ სპორტი. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი ყველაფერს აკეთებს მთიან რეგიონებში სპორტის განვითარებისათვის: გვეხმარებიან ბაზების კეთილმოწყობაში, გვამარაგებენ მაღალხარისხოვანი ინვენტარით და ა. შ.

ფიზკულტურის, სპორტის განვითარება მომავალი თაობის სიჯანსაღის საწინდარია. დადგა დრო, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ჭეშმარიტად საყოველთაო გახდეს. გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ზემო სვანეთში უკვე გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები. აი, სპორტულ ახალმშენებლობათა მშრალი სია: მესტიის ცენტრში ზუსტად ერთი წლის წინათ მწყობრში ჩადგა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ შესანიშნავი სპორტული დარბაზი (34X18), ჭიდაობის, კრივისა და სხვა სახეობებისათვის. აშენდა გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსი სოფელ ლატალში, ილია გაბლიანის სახელობისა — მულახში, მირზა გელოვანის სახელობისა — იფარში. მალე მათ მიემატება ბორის კახიანის სახელობის დიდი სპორტული კომპლექსი ჰუბერში, რომელსაც ექნება მძლეოსნობის სექტორები, საჭიდაო სარბიელი, სპორტდარბაზი. ამ ახალმშენებლობათა თაოსანია კომკავშირის რაიკომი (პირველი მდივანი გურგენ გურჩიანი). კომკავშირელთა თაოსნობით წლეულს დაიწყო ჭიდაობის დარბაზის მშენებლობაც სოფელ ბეჩოში. გვახარებს გაბრიელ ხერგიანის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაწყება დაბა მესტიაში. აქ იქნება საცურაო აუზი (25X13), დარბაზები ჭიდაობის ყველა სახეობისათვის და ა. შ. მესტიელებს აწუხებთ სტადიონის უქონლობა, რაც ასე აფერხებს მძლეოსნობის, ფეხბურთის განვითარებას რაიონში, მშდ-ს კომპლექსის ჩაბარებას. ამჟამად მდინარე მესტიაჭალის მარჯვენა სანაპიროზე გამოყოფილია ადგილი სტადიონის მშენებლობისათვის, რომელსაც მძლეოსნური სექტორებიც ექნება. რაიონში არც საცურაო აუზი გვაქვს, ამიტომ ხელოვნურ ტბას ვაკეთებთ კახრში, ახალი ტურბაზის „უშბას“ მიდამოებში. გვალდის ღელიდან მილებით დაახლოებით 3 კილომეტრზე გადმოვიყვანთ წყალს აუზში. ასე რომ, მესტიელებს, ჩამოსულ ტურისტებს სულ მალე საშუალება ექნებათ თოვლიანი მთების ძირას ცურვით იჯერონ გული.

ერთ დროს მესტიაში საუკეთესო ალპინისტები მრავლად იყვნენ, ახლა ისინი, რა დასამალია, თითზე ჩამოსათვლელნი არიან. ვფიქრობთ, გადაწყვეტილება ჭალადის მყინვარზე ალპინისტური ბანაკის მშენებლობის შესახებ ხელს შეუწყობს მთამსვლელობის შემდგომ განვითარებას, რისთვისაც აქ ყველა პირობაა — კლდე, თოვლი, ყინული, საუცხოო ფლორა (ფიჭვნარი), სხვადასხვა კატეგორიის მწვერვალები, აქვე „ორ ნაბიჯზეა“ უშბა, შხელდა, იალბუზი...

ჩამოვრჩებით სამთო-სათხილამურო ტრასების, ბაზებისა და საბაგირო გზების მშენებლობის მხრივაც. მესტიაში გვაქვს მხოლოდ ერთი, ისიც მარტივი ტიპის მოკლე საბაგირო გზა დაბლერის ფერდობზე. იგი დამწყებ მოთხილამურეებს და ტურისტებს თუ გამოადგებათ, თორემ ოსტატებისთვის ფაქტიურად გამოუყენებელია. ამჟამად მიმდინარეობს მესტია—აწვალისა და აწვალი—ზურულდის საბაგირო გზების მშენებლობა. პირველი 1.400 მეტრი სიგრძისაა, მეორე — 1.600 მეტრისა. სამწუხაროდ, მშენებლობა („ბაგირგზების“ სამმართველო აშენებს) ნელი ტემპით მიმდინარეობს და საეჭვოა ეს გზები დროულად ჩადგეს მწყობრში: ერთი წლეულს, მეორე კი — გაისად. არადა, სამთომოთხილამურენი მოუთმენლად ელიან ახალ საბაგიროებს!

ამას წინათ მესტიაში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენლები ცნობილი სპეციალისტის ვენედიქტ კამენსკის ხელმძღვანელობით. მათ სურდათ შეესწავლათ, რა პირობებია აქ ზაფხულის პერიოდში მოთხილამურეთა ვარჯიშისათვის. სპეციალისტები მოიხიბლნენ აწვალის, დალაყრის მთების მიდამოების, უშბის პლატოს მუდმივი თოვლით დაფარული მყინვარებით, სადაც თხილამურებით მორბენლებსა და სამთომოთხილამურეებს წლის ნებისმიერ დროს შეუძლიათ ვარჯიშიც და ასპარეზობაც — ცხადია, ტრასებისა და მისასვლელი გზების კეთილმოწყობის შემდეგ. გადაწყდა აგვისტოსა და დეკემბერში აქ სავარჯიშოდ ჩამოვიდეს თხილამურებით მრბოლელთა საკავშირო ნაკრები, რომელიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოემზადება.

ივერი პელიძე,

მესტიის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოთა კავშირის პირველობა ● I ლიგა

გათამაშების კალენდარი

მეორე წრე

XXIII ტური
16 ივლისი, ორშაბათი
„ფაკელი“ — „დაუგავა“
„ზარია“ — ასკ „კარპატი“
„ტორპედო“ ქ. — „შინიკი“
„დინამო“ ბ. — „ისკრა“
„გურია“ — „როტორი“
„სპარტაკი“ ორ. — „ყუბანი“
„ზვეზდა“ — „კოლოსი“
„პამირი“ — „მეტალურგი“
„ნისტრუ“ — „ირტიში“
„ტავრია“ — „კუზბასი“

XXIV ტური
19 ივლისი, ხუთშაბათი
„ფაკელი“ — ასკ „კარპატი“
„ზარია“ — „დაუგავა“
„ტორპედო“ ქ. — „ისკრა“
„დინამო“ ბ. — „შინიკი“
„გურია“ — „ყუბანი“
„სპარტაკი“ — „როტორი“
„ზვეზდა“ — „მეტალურგი“
„პამირი“ — „კოლოსი“
„ნისტრუ“ — „კუზბასი“
„ტავრია“ — „ირტიში“
21 ივლისი, შაბათი
ასკ ხ. — „ლოკომოტივი“

XXV ტური
24 ივლისი, სამშაბათი
„ირტიში“ — ასკ ხ.
„კუზბასი“ — „ლოკომოტივი“
„კოლოსი“ — „ნისტრუ“
„მეტალურგი“ — „ტავრია“
„როტორი“ — „ზვეზდა“
„ყუბანი“ — „პამირი“
„შინიკი“ — „გურია“
„ისკრა“ — „სპარტაკი“
„დაუგავა“ — „ტორპედო“ ქ.
ასკ კარპატი — „დინამო“ ბ.
„ფაკელი“ — „ზარია“

XXVI ტური
27 ივლისი, პარასკევი
„ირტიში“ — „ლოკომოტივი“
„კუზბასი“ — ასკ ხ.
„კოლოსი “ — „ტავრია“
„მეტალურგი“ — „ნისტრუ“
„როტორი“ — „პამირი“
„ყუბანი“ — „ზვეზდა“
„შინიკი“ — „სპარტაკი“
„ისკრა“ — „გურია“
„დაუგავა“ — „დინამო“ ბ.
ასკ „კარპატი“ — „ტორპედო“ ქ.

XXVII ტური
14 აგვისტო, სამშაბათი
„ტორპედო“ ქ. — „ფაკელი“
„დინამო“ ბ. — „ზარია“
„გურია“ — „დაუგავა“
„სპარტაკი“ — ასკ „კარპატი“
„ზვეზდა“ — „შინიკი“
„პამირი“ — „ისკრა“
„ნისტრუ“ — „როტორი“
„ტავრია“ — „ყუბანი“
ასკ ხ. — „კოლოსი“
„ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“
„ირტიში“ — „კუზბასი“

XXVIII ტური
17 აგვისტო , პარასკევი
„ტორპედო“ ქ. — „ზარია“
„დინამო“ ბ. — „ფაკელი“
„გურია“ — ასკ „კარპატი“
„სპარტაკი“ — „დაუგავა“
„ზვეზდა“ — „ისკრა“
„პამირი“ — „შინიკი“
„ნისტრუ“ — „ყუბანი“
„ტავრია“ — „როტორი“
ასკ ხ. — „მეტალურგი“
„ლოკომოტივი“ — „კოლოსი“

XXIX ტური
23 აგვისტო, ხუთშაბათი
„კოლოსი“ — „ირტიში“
„მეტალურგი“ — „კუზბასი“
„როტორი“ — ასკ ხ.
„ყუბანი“ — „ლოკომოტივი“
„შინიკი“ — „ნისტრუ“
„ისკრა“ — „ტავრია“
„დაუგავა“ — „ზვეზდა“
ასკ „კარპატი“ — „პამირი“
„ფაკელი“ — „გურია“
„ზარია“ — „სპარტაკი“
„ტორპედო“ ქ. — „დინამო“ ბ.

XXX ტური
26 აგვისტო, კვირა
„კოლოსი“ — „კუზბასი“
„მეტალურგი“ — „ირტიში“
„როტორი“ — „ლოკომოტივი“
„ყუბანი“ — ასკ ხ.
„შინიკი“ — „ტავრია“
„ისკრა“ — „ნისტრუ“
„დაუგავა “ — „პამირი“
ასკ „კარპატი“ — „ზვეზდა“
„ფაკელი“ — „სპარტაკი“
„ზარია“ — „გურია“

XXXI ტური
31 აგვისტო, პარასკევი
გურია“ — „ტორპედო“ ქ.
„სპარტაკი“ — „დინამო“ ბ.
„ზვეზდა“ — „ფაკელი“
„პამირი“ — „ზარია“
„ნისტრუ“ — დაუგავა“
„ტავრია“ — ასკ „კარპატი“
ასკ ხ. — „შინიკი“
„ლოკომოტივი“ — „ისკრა“
„ირტიში“ — „როტორი“
„კუზბასი“ — „ყუბანი“
„კოლოსი“ — „მეტალურგი“

XXXII ტური
3 სექტემბერი, ორშაბათი
„გურია“ — „დინამო“ ბ.
„სპარტაკი“ — „ტორპედო“ ქ.
„ზვეზდა“ — „ზარია“
„პამირი“ — „ფაკელი“
„ნისტრუ“ — ასკ „კარპატი“
„ტავრია“ — „დაუგავა“
ასკ ხ. — „ისკრა“
„ლოკომოტივი“ — „შინიკი“
„ირტიში“ — „ყუბანი“
„კუზბასი“ — როტორი“

XXXIII ტური
8 სექტემბერი, შაბათი
„როტორი“ — „კოლოსი“
„ყუბანი“ — „მეტალურგი“
„შინიკი“ — „ირტიში“
„ისკრა“ — „კუზბასი“
„დაუგავა“ — ასკ ხ.
ასკ „კარპატი“ — „ლოკომოტივი“
„ფაკელი“ — „ნისტრუ“
„ზარია“ — „ტავრია“
„ტორპედო“ ქ. — „ზვეზდა“
„დინამო“ ბ. — „პამირი“
„გურია“ — „სპარტაკი“

XXXIV ტური
11 სექტემბერი, სამშაბათი
„როტორი“ — „მეტალურგი“
„ყუბანი“ — „კოლოსი“
„შინიკი“ — „კუზბასი“
„ისკრა“ — „ირტიში“
„დაუგავა“ — „ლოკომოტივი“
ასკ „კარპატი“ — ასკ ხ.
„ფაკელი“ — „ტავრია“
„ზარია“ — „ნისტრუ“
„ტორპედო“ ქ. — „პამირი“
„დინამო“ ბ. — „ზვეზდა“

XXXV ტური
20 სექტემბერი, ხუთშაბათი
„ზვეზდა“ — „გურია“
„პამირი“ — „სპარტაკი“
„ნისტრუ“ — „ტორპედო“ ქ.
„ტავრია“ — „დინამო“ ბ.
ასკ ხ. — „ფაკელი“
„ლოკომოტივი“ — „ზარია“
„ირტიში“ — „დაუგავა“
„კუზბასი“ — ასკ „კარპატი“
„კოლოსი“ — „შინიკი“
„მეტალურგი“ — „ისკრა“
„როტორი“ — „ყუბანი“

XXXVI ტური
23 სექტემბერი, კვირა
„ზვეზდა“ — „სპარტაკი“
„პამირი“ — „გურია“
„ნისტრუ“ — „დინამო“ ბ.
„ტავრია“ — „ტორპედო“ ქ.
ასკ ხ. — „ზარია“
„ირტიში“ — ასკ „კარპატი“
„კუზბასი“ — „დაუგავა“
„კოლოსი“ — „ისკრა“
„მეტალურგი“ — „შინიკი“
25 სექტემბერი, სამშაბათი
„ლოკომოტივი“ — „ფაკელი“

XXXVII ტური
30 სექტემბერი, კვირა
„შინიკი“ — „როტორი“
„ისკრა“ — „ყუბანი“
„დაუგავა“ — „კოლოსი“
ასკ „კარპატი“ — „მეტალურგი“
„ფაკელი“ — „ირტიში“
„ზარია“ — „კუზბასი“
„ტორპედო“ ქ. — ასკ ხ.
„დინამო“ ბ. — „ლოკომოტივი“
„გურია“ — „ნისტრუ“
„სპარტაკი“ — „ტავრია“
„ზვეზდა“ — „პამირი“

XXXVIII ტური
4 ოქტომბერი, ხუთშაბათი
„შინიკი“ — „ყუბანი“
„ისკრა“ — „როტორი“
„დაუგავა“ — „მეტალურგი“
ასკ „კარპატი“ — „კოლოსი“
„ფაკელი“ — „კუზბასი“
„ზარია“ — „ირტიში“
„ტორპედო“ ქ. — „ლოკომოტივი“
„დინამო“ ბ. — ასკ ხ.
„გურია“ — „ტავრია“
„სპარტაკი“ — „ნისტრუ“

XXXIX ტური
9 ოქტომბერი, სამშაბათი
ასკ ხ. — „გურია“
„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“
11 ოქტომბერი, ხუთშაბათი
„ნისტრუ“ — „ზვეზდა“
„ტავრია“ — „პამირი“
„ირტიში“ — „ტორპედო“ ქ.
„კუზბასი“ — „დინამო“ ბ.
„კოლოსი“ — „ფაკელი“
„მეტალურგი“ — „ზარია“
„როტორი“ — „დაუგავა“
„ყუბანი“ — ასკ „კარპატი“
„შინიკი“ — „ისკრა“

XXXX ტური
13 ოქტომბერი, შაბათი
ასკ ხ. — „სპარტაკი“
„ლოკომოტივი“ — „გურია“
14 ოქტომბერი, კვირა
„ნისტრუ“ — „პამირი“
„ტავრია“ — „ზვეზდა“
„ირტიში“ — „დინამო“ ბ.
„კუზბასი“ — „ტორპედო“ ქ.
„კოლოსი“ — „ზარია“
„მეტალურგი“ — „ფაკელი“
„როტორი“ — ასკ „კარპატი“
„ყუბანი“ — „დაუგავა“

XXXXI ტური
21 ოქტომბერი, კვირა
„დაუგავა“ — „შინიკი“
ასკ „კარპატი“ — „ისკრა“
„ფაკელი“ — „როტორი“
„ზარია“ — „ყუბანი“
„ტორპედო“ ქ. — „კოლოსი“
„დინამო“ ბ. — „მეტალურგი“
„გურია“ — „ირტიში“
„სპარტაკი“ — „კუზბასი“
„ზვეზდა“ — ასკ ხ.
„პამირი“ — „ლოკომოტივი“
„ნისტრუ“ — „ტავრია“

XXXXII ტური
25 ოქტომბერი, ხუთშაბათი
„დაუგავა“ — „ისკრა“
ასკ „კარპატი“ — „შინიკი“
„ფაკელი“ — „ყუბანი“
„ზარია“ — „როტორი“
„ტორპედო“ ქ. — „მეტალურგი“
„დინამო“ ბ. — „კოლოსი“
„გურია“ — „კუზბასი“
„სპარტაკი“ — „ირტიში“
„ზვეზდა“ — „ლოკომოტივი“
„პამირი — ასკ ხ.

XXXXIII ტური
31 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ასკ ხ. — „ნისტრუ“
„ლოკომოტივი “ — „ტავრია“
„ირტიში“ — „ზვეზდა“
„კუზბასი“ — „პამირი“
„კოლოსი“ — „გურია“
„მეტალურგი“ — „სპარტაკი“
„როტორი“ — „ტორპედო“ ქ.
„ყუბანი“ — „დინამო“ ბ.
„შინიკი“ — „ფაკელი“
„ისკრა“ — „ზარია“

XXXXIV ტური
4 ნოემბერი, კვირა
ასკ ხ. — „ტავრია“
„ლოკომოტივი“ — „ნისტრუ“
„ირტიში “ — „პამირი“
„კუზბასი“ — „ზვეზდა“
„კოლოსი“ — „სპარტაკი“
„მეტალურგი“ — „გურია“
„როტორი“ — „დინამო“ ბ.
„ყუბანი“ — „ტორპედო“ ქ.
„შინიკი“ — „ზარია“
„ისკრა“ — „ფაკელი“
„დაუგავა“ — ასკ „კარპატი“

შენიშვნა: თამაშები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

ანკესებით ჩაქვისწყალზე

სოფელ ჩაქვისთავში, იქ, სადაც მდინარე ჩაქვისწყალი ჩამოდის, მოეწყო სპორტსაზოგადოება „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ თევზაობაში.

როცა შეჯიბრებისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და მსაჯთა კოლეგიამ შედეგები შეაჯამა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი თევზი (123) დაეჭირათ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტსმენებს (დირექტორი ე. გვენცაძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. ერმოლენკო), რომლებსაც გადაეცათ სამახსოვრო თასი და I ხარისხის დიპლომი. მეორე იყო ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდი (121. დირექტორი ს. მოსესოვი, მეთოდისტი რ. ლაზიშვილი). მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ტრანსფორმატორების ქარხნის წარმომადგენლებს (117. დირექტორი ა. ჯიჯავაძე, მეთოდისტი ჯ. აფხაზავა). პირად ჩათვლაში საზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტსმენმა ვ. ივანოვმა (18). მეორე ადგილზეა ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა ვ. ბუტნიკი (15), ხოლო მესამეზე — ვ. შელდიშევი (12, ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა).

ოთარ მურუსიძე.

პირველ ადგილზე

დღეს მოსკოვში მთავრდება „სიჭაბუკის“ თასის საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი მოზარდ ფეხბურთელთა შორის, თუმცა გამარჯვებული უკვე ცნობილია: ეს გახლავთ საქართველოს ნაკრები, რომელმაც 8 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა. მართალია, გუნდს ბოლო შეხვედრა მოსკოველებთან აქვთ, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის — ჩვენმა ფეხბურთელებმა (უფროსი მწვრთნელი ნ. ამირეჯიბი, მწვრთნელები — ბ. სიჭინავა და გ. გვანცელაძე) ვადამდე გაინაღდეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

IV ტურში საქართველოს გუნდმა სრული უპირატესობით ჩაატარა მატჩი „შრომითი რეზერვების“ ნაკრებთან და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა — 8:0. 2-2 ბურთი გაიტანეს თ. მეტრეველმა და ა. ბეკოევმა, თითო — ზ. ბენდელიანმა, მ. კალატოზიშვილმა, ი. აშიროვმა და ვ. იაკოვლევმა.

მეორე ადგილისთვის, რომელიც აგრეთვე ფინალში თამაშის უფლებას იძლევა, დღეს იბრძოლებენ რსფსრ-ისა და ლენინგრადის ფეხბურთელები, ამ უკანასკნელთ ფრეც ჰყოფნით.

ცოტა რამ „აუტსაიდერებზე“

ბელგიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა გი ტისმა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყებამდე განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ ეს შეჯიბრება ხარისხობრივად უფრო მაღალი დონისა იქნება, ვიდრე ოთხი წლის წინათ იტალიაში გამართული ანალოგიური ასპარეზობა“. ტისის იმედი გამართლდა — ევროპის VII ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება არათუ კონტინენტის წინა პირველობაზე ბევრად საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა, არამედ საერთო დონით მსოფლიო ჩემპიონატსაც არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ არა გვგონია ამას ტისის დიდი სიხარული გამოეწვია: მისი გუნდი, სამწუხაროდ, არ მიეკუთვნებოდა იმ კოლექტივების რიცხვს, რომელთა თამაშმა ტურნირის მაღალი დონე განაპირობა. პირიქით, ბელგიელებმა, რომლებმაც ესოდენ წარმატებით ითამაშეს ოთხი წლის წინათ და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, საფრანგეთში ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

თუმცა, ბელგიის ნაკრების წარუმატებელ თამაშს გარკვეული ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. მათგან უმთავრესი გახლდათ ეროვნულ ჩემპიონატში ქრთამის აღებასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალი, რომლის შესახებაც ფეხბურთის მოყვარულთ არაერთი მასალა წაუკითხავთ ჩვენი პრესის ფურცლებზე. თანაც, გარდა იმისა, რომ ნაკრების რამდენიმე ძირითადი მოთამაშე შეიწირა (მათ შორის გუნდის კაპიტანი ერიკ გერეტსი), ამ სკანდალმა ფსიქოლოგიურად უდავოდ უარყოფითად იმოქმედა კოლექტივის სხვა წევრებზეც, რამაც დაღი დაასვა მათს თამაშს. ტისი და გუნდში საგანგებოდ მოწვეული ფსიქოლოგები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა უარყოფითი ემოციებისგან გაეთავისუფლებინათ ფეხბურთელები, ხოლო მწვრთნელს წმინდა პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაც მოუხდა: მაგალითად, იგი იძულებული გახდა, თითქმის მთლიანად გადაეხალისებინა დაცვის ხაზი.

ეს უსიამოვნებანი რამდენადმე გააბათილა ბელგიელთათვის ერთობ სასიხარულო ამბავმა: ფინალური ასპარეზობის დაწყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ბელგიის მოქალაქეობა მიიღო და, შესაბამისად, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლება მოიპოვა „ევროპის ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა“ (როგორც მას ხშირად უწოდებენ გაზეთები), წარმოშობით იტალიელმა ენცო შიფომ. ამ 18 წლის სპორტსმენზე ქართველმა გულშემატკივრებმაც საკმაოდ ბევრი იციან. ბევრ მათგანს იგი თავისი თვალითაც უნახავს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მოსკოვის „სპარტაკსა“ და ბრიუსელის „ანდერლეხტს“ შორის გამართულ მატჩში. ამდენად, ჩვენ ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე მოგვეცა საშუალება დავრწმუნებულიყავით ამ ფეხბურთელის ნიჭიერებაში.

ბელგიის ნაკრებში შიფოს დებიუტი კონტინენტის პირველობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, უნგრეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ მატჩში შედგა. დებიუტი იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ ტისმა შიფოს უყოყმანოდ მიანდო ნაკრების დირიჟორის ჯოხი ფინალური ტურნირის პირველივე შეხვედრაში იუგოსლავიის გუნდთან. წარმატება კვლავ დიდი იყო — ახალგაზრდა ფეხბურთელმა შესანიშნავად ითამაშა და ფაქტიურად განაპირობა კიდეც თანაგუნდელთა გამარჯვება. აქ კი „ახმაურდნენ ბელგიური გაზეთები, რომლებიც ბოლო ხანებში (განსაკუთრებით სკანდალის შემდეგ) მხოლოდ სალანძღავ სიტყვებს თუ იმეტებდნენ თავიანთი ფეხბურთელებისთვის. მათ თითქოს გაუკვირდათ კიდეც თანამემამულეთა გამარჯვება. გაზეთები ალტაცების ეპითეტებით აჭრელდა. ბრიუსელის „ჰეტ ლაატსტე ნიეუვსმა“ ამ მოგებას „თეთრი ეშმაკების ბრწყინვალე გამარჯვება“ უწოდა, ხოლო „ჰეტ ნიეუვსბლადმა“ პირდაპირ მოუწოდა თავის ფეხბურთელებს: „მიეცით ბურთი შიფოს!“

ასეთი დასაწყისის შემდეგ ალბათ აღარ უნდა გაგვკვირვებოდა ბელგიის ნაკრების ზოგიერთი წევრის (მაგალითად, ჟან-მარი პფაფის) მეტისმეტად თავდაჯერებული ტონი ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის — საფრანგეთის ნაკრებთან მატჩის წინ. ჟურნალისტებთან საუბარში მაინცდამაინც აღელვებული არც ტისი ჩანდა. „თუ საქმე ახლაც ისე წაგვივიდა, როგორც იუგოსლავიელებთან შეხვედრაში, შეიძლება კვლავ სენსაცია მოვახდინოთ და ოთხი წლის წინანდელი წარმატება გავიმეოროთ“, — თქვა მან.

საფრანგეთ-ბელგიის მატჩს ფრანგული პრესაც დიდ ადგილს უთმობდა. თამაშის წინა დღეს პარიზის „ეკიპმა“ გამოაქვეყნა შიფოს საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ. ვფიქრობთ, ამ ინტერვიუს რამდენიმე ნაწყვეტის გაცნობა არც „ლელოს“ მკითხველისთვის იქნება უინტერესო:

კითხვა: რატომ არ შეინარჩუნეთ იტალიის მოქალაქეობა?

პასუხი: რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, „ანდერლეხტმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი იმ პირობით შემომთავაზა, რომ ბელგიის მოქალაქე გავხდებოდი. მეორეც, ჩემთან ბრიუსელში არც ერთი იტალიელი არ მოსულა რაიმე წინადადებით. მე კი საკმაოდ დიდხანს ვიოცნებე იტალიის ეროვნული გუნდის მაისურზე.

კითხვა: იუგოსლავიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ყველა გარს გეხვევათ...

პასუხი: ვიცი, რომ კარგად ვითამაშე. მაგრამ ჩვენი მეტოქე ვერ იყო მაინცდამაინც ძლიერი.

კითხვა: პლატინიზე რას იტყვით?

პასუხი: იგი სამაგალითო ფეხბურთელია ჩემთვის. მისი თამაში უწინაც ხშირად მინახავს ტელევიზიით, რადგან „იუვენტუსის“ გულშემატკივარი ვარ. ვფიქრობ, რაღაცით ვგავართ კიდეც ერთმანეთს, თუმცა ვშიშობ, ეს თავის ქებად არ ჩამომართვათ...

კითხვა: ხვალ პირისპირ შეხვდებით პლატინის, არ გეშინიათ?

პასუხი: მეშინია და არც მეშინია. ფრანგებმა დანიელებთან მატჩში დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს ჩემზე. მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი: ისინი მინდორზე თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ მომცემენ.

ციტატა მეტისმეტად რომ არ გაგვიგრძელდეს, ინტერვიუს აქ შევწყვეტთ. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდნენ პლატინი-შიფოს მომავალ დუელზე. 18 წლის ჭაბუკის გარშემო ატეხილი ასეთი აჟიოტაჟი ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად გვეჩვენა — პირველ ყოვლისა, (როგორც მოგვიანებით გამოირკვა) მან თავად ფეხბურთელს გაუწია დათვური სამსახური. სავსებით გამართლდა შიფოს წინასწარმეტყველება, რომ ფრანგები მას გასაქანს არ მისცემდნენ. იგი თითქმის არც ჩანდა მოედანზე, რასაც სავსებით ლოგიკური შედეგი მოჰყვა — წაგება ანგარიშით 0:5. შიფოს შეეძლო თავი იმით დაემშვიდებინა, რომ ბოლომდე არ ყოფილა ამ გამანადგურებელი მარცხის მონაწილე — ტისმა იგი 51-ე წუთზე შეცვალა. შეიცვალა თვით მწვრთნელის ტონიც. თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან ლაკონიურად განაცხადა: „ფრანგების შეჩერება ყოვლად შეუძლებელი იყო!“ მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელი მიშელ იდალგო არ ცდილობდა სიხარულის დაფარვას: „გაცვეთილ ფრაზად ხომ არ მოგეჩვენებათ, ახლა რომ გითხრათ, კმაყოფილი ვარ-მეთქი? დიახ, კმაყოფილი ვარ, მაგრამ არა იმდენად შედეგით, რამდენადაც იმ თამაშით, დიდი ანგარიშით გამარჯვება რომ მოგვაპოვებინა“.

მატჩის შემდეგ იტალიის „ლა გაძეტა სპორტივამ“ გამოაქვეყნა კარიკატურა, რომელზეც შიფო შურდულით ხელში, პატარა ონავარ ბიჭუნადაა გამოსახული, მას თითის ქნევით ტუქსავს ბრძენი პლატინი. ამ ნახატმა თითქოს ხაზი გაუსვა იმას, რომ ნაადრევი იყო 18 წლის ფეხბურთელის შედარება პელესთან, კრუიფთან ან თუნდაც პლატინისთან.

ფრანგებთან წაგების მიუხედავად, ბელგიელები ახლოს იყვნენ მიზანთან — ნახევარფინალის საგზური მათ პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯეს დანიელებმა, რომლებიც ამ საგზურს უდავოდ უფრო იმსახურებდნენ. არადა, 0:2-ის შემდეგ ძნელი საფიქრებელი იყო, რომ დანიის ნაკრები შეძლებდა ჩარხის მოტრიალებას და მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას. დანიელთა ჩინებულმა გუნდმა მართლაც შეუძლებელი შეძლო — ფარ-ხმალი არ დაყარა და არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ გამარჯვებაც მოიპოვა. ეს არ გახლდათ იოლი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის გუნდი ის აღარ იყო, რაც ოთხი წლის წინათ — მის შემადგენლობაში ხომ ახლაც მრავლად იყვნენ მაღალი კლასის ფეხბურთელები. შუა მინდორში შიფოს გვერდით საკმაოდ კარგად თამაშობდა ვანდერეიკენი, მეტოქის კარს ხშირად უქმნიდნენ საფრთხეს ვერკაუტერენი, ვანდენბერგი და კულემანსი, მაგრამ ბელგიელთა თამაშში არ იგრძნობოდა ის ორგანიზებულობა, მონოლითურობა, მობილურობა, რაც მათთვის სულ ახლო წარსულში იყო დამახასიათებელი. ერთი სიტყვით, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში მათი დამარცხება სავსებით ლოგიკური და კანონზომიერი გახლდათ.

საერთოდ, ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება სწორედ იმ „კვარტეტმა“ მოიპოვა, რომელიც ყოველმხრივ სჯობდა დანარჩენ ოთხ გუნდს. ამის საგანგებოდ აღნიშვნა იქნებ არც ყოფილიყო საჭირო, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი მუდამ ისე როდი ხდება, როგორც წესით უნდა მოხდეს. ამჯერად კი ჯგუფური ტურნირის შედეგად შექმნილ ორ ბანაკს (ნახევარფინალისტებისას და ბრძოლიდან გამოთიშულებისას) თამამად შეიძლება ვუწოდოთ კონტინენტის ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგა. სხვა საქმეა, რომ „პირველ ლიგაში“ დასავლეთ გერმანიისა და ბელგიის გუნდების დასახელება ცოტა უხერხულად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ევროპის ფეხბურთის დღევანდელი სურათი სწორედ ამას გვიკარნახებს.

იმ ოთხი გუნდიდან, რომლებიც ბრძოლას გამოეთიშნენ, ჩვენ არაფერი გვითქვამს რუმინეთის ეროვნულ ნაკრებზე. მისგან არც ელოდა ვინმე რაიმე განსაკუთრებულ შედეგს — რუმინელებისთვის ევროპის პირველობის ფინალურ ტურნირში მონაწილეობა უკვე თავისთავად დიდი წარმატება იყო. მაგრამ ნურც ისე გაგვიგებს მკითხველი, თითქოს რუმინელთა ნაკრები ყველაზე სუსტად მიგვაჩნდეს საფრანგეთში ჩამოსული გუნდებიდან. სულაც არა. პირველ შეხვედრაში მათ ფრედ (1:1) ითამაშეს მომავალ ფინალისტებთან — ესპანელებთან, შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში დათმეს მატჩი დასავლეთგერმანელებთან (1:2), ბოლო შეხვედრა კი მინიმალური ანგარიშით (0:1) წააგეს პორტუგალიელებთან. ვერ ვიტყვით, რომ მირჩა ლუჩესკუს აღსაზრდელები დიდად ბრწყინავდნენ ამ მატჩებში, მაგრამ ცალკეულ მონაკვეთებში ისინი ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს და ხშირად ხიფათსაც უქმნიდნენ მის კარს. მაგალითად, გფრ-ის ნაკრების მეკარემ შუმახერმა 90-ე წუთზე აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი კარი — 25 მეტრიდან ძლიერად ურტყამდა ბოლონი. მეტად ეფექტური იყო გოლი, რომელიც კორასმა გაიტანა დასავლეთგერმანელებთან მატჩში. სხვათა შორის, პორტუგალიელებმაც მხოლოდ ბოლო წუთებზე გატეხეს რუმინელთა წინააღმდეგობა — მინდორზე ახლადგამოსული ნენეს შეუპოვრობა რომ არა, ეს მატჩი ალბათ სხვა შედეგით დასრულდებოდა.

ყოველივე ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ რუმინეთის ნაკრები არამც და არამც არ იყო ევროპის ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერი (როგორც ბევრი ფიქრობდა). ამ გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე საკმაოდ ძლიერი მოთამაშეა (მეკარე ლუნგი, თავდამსხმელი კამატარუ), ხოლო ერთი — ბოლონი — უდავოდ მაღალი კლასის ფეხბურთელი გახლავთ.

სასიამოვნო იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის მაღალი საერთო დონე ვერც „აუტსაიდერთა“ თამაშმა დააქვეითა.

დავით კაკაბაძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 129, 130, 133.



„ლა გაზეტა სპორტივაში“ დაბეჭდილი კარიკატურა: — მიშელ პლატინი თითის ქნევით ტუქსავს ონავარ ბიჭუნად გამოხატულ ენცო შიფოს.

ინფორმაცია

კლასიკური ჭიდაობა

ბუდაპეშტში დაიწყო კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობა-84“. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და კუბის უძლიერესი ათლეტები.

გაიმართა პირველი ორთაბრძოლები. საბჭოთა მოჭიდავეებმა სტარტზე ძირითადად წარმატებით იასპარეზეს. მხოლოდ ორმა მათგანმა იწვნია მარცხი: მოსკოველმა ევგენი არტიუხინმა (+100 კგ) წააგო ბულგარელ დინევთან, თბილისელმა თემო ყაზარაშვილმა (48) — უნგრელ ვადასთან. თუმცა ამ მოჭიდავეებს ოქროს მედლის მოპოვების შანსი არ დაუკარგავთ.

ჩოგბურთი

იურმალაში დაიწყო დევისის თასის გათამაშების ევროპის „ა“ ზონის ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და ავსტრიის ჩოგბურთელებს შორის. გუნდების ლიდერების მოსკოველი ვლადიმერ ბორისოვისა და პიტერ ფაიგლის შეხვედრა სტუმრის გამარჯვებით დამთავრდა — 0:6, 9:7, 1:6, 6:1, 7:5.

ფრენბურთი

ბულგარეთში გრძელდება ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ვარნის ზაფხული“. საბჭოთა გუნდი დამარცხდა კუბელ სპორტსმენებთან შეხვედრაში — — 2:3. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთი — ჰოლანდია — 3:0, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — საფრანგეთი — 3:0, გდრ — ბულგარეთი — 3:1.

ფინალში გამოვლენ გდრ-ის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბისა და სსრ კავშირის ფრენბურთელები.

ფეხბურთი

ბათუმში ერთ კვირას გაგრძელდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობა 1967-1969 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, ტურნირი მიეძღვნა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვიტალი დარასელიას ხსოვნას. საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდისა და გაგრის გუნდები.

კარგად ითამაშეს ბათუმელმა ჭაბუკებმა (სკოლის დირექტორი ლ. ვერულიძე, მწვრთნელები გ. იმნაძე, თ. ქაჯაია), რომლებმაც 10 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. 7-7 ქულით მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სოხუმისა (მწვრთნელი გ. ზარია) და ზუგდიდის (მწვრთნელი ბ. შურღაია) გუნდები.

ოთარ მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა სპორტლოტოს მორიგი 28-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 47 (ტურიზმი), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 18 (მძლეოსნობა).

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; [illegible] — 93-97-53; [illegible] — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-31; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოჭარაულის. ეგ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09854